პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 28.04.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე – ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს ,,საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში - მდივანი);
მამია ჯანჯალია – სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ნინო ხითარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ბაბალაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტი
ნინო მეგრელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სიოს წარმომადგენლები:
სალომე სიორდია - დირექტორი
ლარისა გიორხელიძე - თანამშრომელი

შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯის წარმომადგენლები:
მაია გუგეშაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნატო ტრაპაიძე - იურისტი

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:
ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ირმა ლომაია - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
ნათელა ჩიქოვანი - თანამშრომელი
ნატო ზაქარეიშვილი - მენეჯერი
ნატო სადილიანი - მენეჯერი

შპს ბარაკონის წარმომადგენლები:
გიორგი ფოფხაძე - დირექტორი
ნინო ბოკერია - დირექტორის მოადგილე
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალი ტალღის" წარმომადგენლები:
დავით მჭედლიშვილი - დირექტორი
ირმა მეგრელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნატო ალავიძე;
მაია თოიძე;
ნანა შარაბიძე;
ელენე გვენცაძე;
შორენა ჯაფარიძე;
დალი კალაძე;
პეტრე ბაბილუა;
ეკატერინე გიგაშვილი;
მაყვალა დარსანია;
თამარ რემიშვილი

სხვა დამსწრე პირები:

დევი ტაბიძე - შპს ,,ლანცეტის'' მენეჯერი

ალექსანდრე კეზევაძე - შპს ,,ლანცეტის'' თანამშრომელი

ნანული ზარიძე - შპს მესამე სამედიცინოს დირექტორი

მარინა გოგოლაძე - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:15 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად თავმჯდომარის დავალებით საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საბჭოს წევრს მაია ჩიხლაძეს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სიოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალი ტალღის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში ვიზიტისას გამოვლინდა შემდეგი გარემოება: შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის ავტორიზაციის მიღებისას, ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილების დანართში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა. კერძოდ, შეცდომით იყო მითითებული ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების კრედიტების რაოდენობა. კახაბერ ერაძემ დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგს მეოთხე საკითხად დამატებოდა ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილების დანართში ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების კრედიტების რაოდენობის ცვლილების საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი. განსახილველი საკითხების თანმიმდევრობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. შპს სიოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. ,,შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილების დანართში ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების კრედიტების რაოდენობის ცვლილების საკითხი
5. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალი ტალღის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

1. შპს სიოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნატო ალავიძემ, მაია თოიძემ და ნანა შარაბიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული ყველა რეკომენდაცია თუ შენიშვნა ვიზიტის დროს იქნა გათვალისწინებული. დაწესებულებას სურს განახორციელოს მასაჟისტის მესამე საფეხურის პროგრამა, ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამა, პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის მტკიცებით დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს სრულად აკმაყოფილებს.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ იცნობდნენ აღნიშნული საკითხის მასალებს და კითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს მდივანმა, მაია ჩიხლაძემ აქვე შენიშნა, რომ დაწესებულება სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ადგილის ზღვრული ოდენობის განსაზღვრას ითხოვდა დაწესებულება.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით დაწესებულება შეძლებდა ერთდროულად 75 პროფესიული სტუდენტის მიღებას, მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პრაქტიკოსი ექთნის პროგრამაზე ერთდროულად 7 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულებას ხომ არ სურდა სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვა და შესაბამისად საჭირო იყო თუ არა მოცემული კვოტების გაორმაგება.

შპს სიოს დირექტორმა, სალომე სიორდიამ, სურვილი გამოთქვა სასწავლო პროცესის ორ ცვლაში განხორციელების შესახებ.

თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ პროფესიულ სტუდენტთა კვოტა განისაზღვრებოდა 150-ით, მათ შორის 14 პროფესიული სტუდენტით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პრაქტიკოსი ექთნის პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად განხორციელდებოდა აღნიშნული პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამები განხორციელდება ქალაქ ქუთაისში, მის: გალაკტიონ ტაბიძის №72/დ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სიოს ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 150-ით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე 14 პროფესიული სტუდენტით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სიოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212797945) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე 14 პროფესიული სტუდენტით.

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის №72/დ
2	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90	ქართული	ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის №72/დ
3	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150	ქართული	ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის №72/დ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	179	ქართული	14	ქ. ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის №72/დ

2. შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ელენე გვენცაძემ, შორენა ჯაფარიძემ და დალი კალაძემ.

ელენე გვენცაძემ აღნიშნა რომ შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯს სურს განახორციელოს მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დასკვნაში ხარვეზები აღინიშნა პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით. კერძოდ:

ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის საგანმანათლებლო პროგრამაში:

- არასწორად არის გამოთვლილი კრედიტების რაოდენობა, მითითებულია 152 კრედიტი. მაშინ როდსაც პროგრამის მოცულობა კრედიტებში შეადგენს - 157 კრედიტს.
- ინგლისურენოვანი პროგრამა მოიცავს ორ სავალდებულო ინგლისური ენის მოდულს: „ინგლისური ენა ((A2/B1) და „ ინგლისური ენა - (B1+/ B2) ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორისათვის“ აღნიშნული მოდულების ინგლისურენოვან პროგრამაში შეტანა არ არის მართებული. ინგლისური ენის ამ დონეზე ცოდნა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს.
- მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი„ ხანგრძლიობა 13 კვირაა, რაც დაახლოებით 3 თვეს შეადგენს. მიზანშეწონილია, რომ სტუდენტის პროფესიასთან გაცნობა უფრო შემჭიდროებულ ვადებში ხორციელდებოდეს.

ოფისის მენეჯერის საგანმანათლებლო პროგრამებში:

- „ოფისის მენეჯერის“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების სასწავლო გეგმების შედგენისას არ არის დაცული მოდულების სწავლების წინაპირობები, ასე მაგალითად: მოდულების „საგანმკარგულებლო დოკუმენტების წარმოება“ და „კორესპონდენციის ორგანიზება“ სწავლება 41-ე კვირიდან იწყება, ხოლო მათი პრერეკვიზიტი მოდულის -„წერილობით ტექსტთან მუშაობა“ 47-ე კვირიდან , მაშინ როდესაც პირიქით უნდა იყოს.
- დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „საწარმო პრაქტიკის“ მოდულში მითითებულია, რომ „საწარმო პრაქტიკა ხორციელდება ერთჯერადად, ყველა პროფესიული სავალდებულო მოდულის ათვისების შემდეგ, ან სასწავლო პროცესის პარალელურად რამდენიმე სესიად, შესაბამისი პროფესიული სავალდებულო მოდულის გავლის შემდეგ“.

პროგრამა 103 კვირაზეა გათვლილი, ხოლო „საწარმო პრაქტიკის“ მოდული 61-ე კვირას იწყება და მე-80 კვირას სრულდება. „საწარმო პრაქტიკის“ მოდულის დასრულების შემდეგ, 23 კვირის მანძილზე სტუდენტი სხვა პროფესიულ მოდულებს ეუფლება, შესაბამისად საწარმო პრაქტიკის გავლის პერიოდში მას ყველა საჭირო მოდული არ აქვს ათვისებული. ანალოგიური სიტუაციაა პრაქტიკული პროექტის შემთხვევაში, რომელიც 81-92 კვირების განმავლობაში მიმდინარეობს.

- ინგლისურენოვანი პროგრამების რიგ მოდულში მითითებულია რუსულენოვანი და ქართულენოვანი საგანმანათლებლო რესურსები, მაგალითად „რუსული ენის: მოდულში მითითებულია ქართულენოვანი წიგნი გ. გოლეთიანი ''რუსული ენის თვითმასწავლებელი'', ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების“ მოდულში - წარმოდგენილია ბმული, რომელიც ქართულენოვან ლიტერატურაზე გადადის.
- ყველა ინგლისურენოვანი პროგრამა მოიცავს „ქართული ენის“ A2 და B1 მოდულებს. ქართული ენის მოდული აუცილებელი წინაპირობაა იმ შემთხვევაში, როცა არაქართულენოვანი პირი აპირებს სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელებას. ექსპერტების აზრით, ინგლისურენოვანი პროგრამების შემთხვევაში „ქართული ენის“ მოდულების შეტანის მიზანშეწონილობა დაუსაბუთებელია.
- უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა (როგორც ვორდის, ასევე ექსელის ფორმატში) არის რთულად აღქმადი, მოუხერხებელი და არარაციონალური, თუმცა ეს ხარვეზად ვერ ჩაითვლება.

პრაქტიკოსი ექთნის , როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებში:

- მოდულების ნაწილი არასრულად არის ადაპტირებული , ნაწილი კი საერთოდ არ არის ადაპტირებული. მათში ჩატოვებულია ჩარჩო დოკუმენტის მოდულების სარეკომენდაციო ჩანაწერები, რაც დაწესებულებას სავალდებულოდ უნდა ექცია.
- მოდულში - „დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა“, მითითებულია, რომ მოდულის სწავლება გრძელდება 3 კვირის განმავლობაში, ხოლო მოდულების განსახორციელებლ გეგმაში იგი გაწერილია 9 კვირაზე (85-93 კვირა); ანალოგიურად ხორციელდება იგივე მოდული, ინგლისურენოვან პროგრამაშიც.
- ინგლისურენოვან მოდულში „Gynegological Patient Nursing'' სასწავლო ლიტერატურაში მოწოდებულია რუსულენოვანი ლიტერატურა-Учебник гинекологии.
- მოდული ''გაცნობითი პრაქტიკა'' , განხორციელების გეგმაში განაწილებულია 13 კვირაზე; თუმცა მოდულში მითითებულია, რომ მოდული წარმოადგენს გაცნობითი სახის კურსს, რომელიც ხორციელდება პროგრამის საწყის ეტაპზე.

ვებ ინტერფეისის დიზაინერის , როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებში:

- სავალდებულო პროფესიულ მოდულში „ვექტორული გამოსახულების დამუშავება“, მითითებულია, რომ ის უნდა ისწავლებოდეს მოდულის „საინფორმაციო ტექნილოგიების“ და მოდულის „დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში“ პარალელურად.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით - მოდული „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ მიმდინარეობს სწავლების 23-42 კვირაში, მოდული „ვექტორული გამოსახულების დამუშავება“ მიმდინარეობს 43-62 კვირაში, ხოლო მოდული „დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში“ - ხორციელდება სწავლების 63-67 კვირაში. დარღვეულია პარალელური სწავლება.

- დარღვეულია მოდულზე დაშვების წინაპირობა – მოდული „ვებ საიტის მარკირება“, რომელიც წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ხორციელდება სწავლების 63-67 კვირებში, წარმოადგენს მოდულის „საიტის სტილებით გაფორმების“ დაშვების წინაპირობას, რომელიც 23 კვირიდან იწყება.
- მოდულები არასრულად არის ადაპტირებული;

ექსპერტის, შორენა ჯაფარიძის, აზრით საქმე ეხება ისეთ ხარვეზებს, რისი გამოსწორებაც მათი ხასიათიდან და რაოდენობიდან გამომდინარე ვერ მოესწრებოდა ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა ეცნობა თუ არა დაწესებულებას ვიზიტის დროს ზემოთ ხსენებული ხარვეზების შესახებ. რაც დაადასტურეს როგორც ექსპერტებმა, აგრეთვე დაწესებულების წარმომადგენლებმაც. დაწესებულების წარმომადგენლის, ნატო ტრაპაიძის, მტკიცებით, მათ ვიზიტის მეორე დღის ბოლოს ეცნობათ აღნიშნული ხარვეზების შესახებ და შესაბამისად დაიწყეს მუშაობა, რათა ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტებისთვის წარედგინათ შესწორებული დოკუმენტაცია, რაც ვერ მოხერხდა. დაწესებულების წარმომადგენლის მტკიცებით, ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტები დილიდანვე პრაქტიკის ობიექტების დასათვალიერებლად წავიდნენ და საღამოს დაწესებულებაში არ დაბრუნებულან. ამდენად, მათ ვერ მოახერხეს ექსპერტებისათვის შესწორებული დოკუმენტაციის წარდგენა.

ელენე გვენცაძემ დაადასტურა, რომ დაწესებულებაში საჭირო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ვიზიტის ბოლო სამუშაო დღეს დაგეგმილი იყო პრაქტიკის ობიექტების მონახულება. ბოლო პრაქტიკის ობიექტზე მუშაობა დაახლოებით 18:30 -ზე დაასრულეს. ექსპერტების მტკიცებით, მათ სრულიად შეასრულეს ვიზიტის დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებები და მათ მოვალეობაში არ შედიოდა დაწესებულების მიერ შესწორებული ან ახლადშექმნილი დოკუმენტაციის განხილვა, მითუმეტეს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტებისათვის არც უცნობებიათ ამის შესახებ და გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლები ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების მოცემულ დროში გამოსწორებას. ყოველ შემთხვევაში, თუ დაწესებულების წარმომადგენლებს მათთვის რაიმეს ჩვენება სურდათ, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მესამე დღეს დილითვე ეცნობებინათ მათთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რა იყო გათვალისწინებული ვიზიტის ბოლო დღეს დღის წესრიგით:

- პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება;
- დასკვნაზე მუშაობა;
- დაწესებულების ადმინისტრაციასთან ვიზიტის შედეგის ზოგადი მიმოხილვა;
- ვიზიტის დასრულება.

მისი მტკიცებით აქედან შესრულდა მხოლოდ პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება, ხოლო შემდეგი ღონისძიებები არ შესრულებულა.

ექსპერტებმა აქვე შენიშნეს რომ მესამე დღე დაიხარჯა მატერიალური რესურსის ხელმეორედ შემოწმებაზე. ვიზიტის დასაწყისში გამოიკვეთა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ სასტუმრო საქმის სპეციალისტის და პრაქტიკოსი ექთნის პროგრამების გაუქმებას, რადგან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. თუმცა, მოგვიანებით ექსპერტებს წარუდგინეს შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა შესამოწმებლად ექსპერტებს დიდი დრო დასჭირდათ. შესაბამისად თავიდან გახდა საჭირო ყველაფრის დათვალიერება და აღრიცხვა. დაწესებულების წარმომადგენლებმა მესამე დღეს დაიწყეს პრაქტიკოსი ექთნის პროგრამისათვის ოთახის მოწყობა. შესაბამისად დამატებული მატერიალური რესურსის აღწერა ექსპერტებს ხელახლა მოუხდათ.

მაია ჩიხლაძემ იკითხა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება პროგრამის განხორციელებას C გარემოს გარეშე. ექსპერტმა უპასუხა, რომ სწორედ C გარემოს არქონის გამო მოუხდა დაწესებულებას სასტუმრო საქმის სპეციალისტის პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს ორი ხელშეკრულება შპს საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრთან. ერთი ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო გაცნობითი პრაქტიკის, საწარმოო პრაქტიკის და პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორციელება, ხოლო მეორე ხელშეკრულების მიხედვით სასწავლო ცენტრი და კოლეჯი ერთად ახორციელებდნენ სასწავლო პროცესს. ანუ C გარემო გათვალისწინებული იყო ტრენინგ ცენტრში.

ექსპერტებმა შენიშნეს, რომ დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ მოდულში აღწერილია ის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა, რაც დაწესებულებას გააჩნია საკუთრებაში ან მფლობელობაში, პროგრამის განხორციელების ადგილას. მოდულებში უწერიათ, რომ ყველაფერი აქვთ მფლობელობაში, თუმცა ეს აღჭურვილობა ადგილზე არ იყო წარმოდგენილი. რაც იმით ახსნეს რომ პროგრამის განხორციელებას აპირებდნენ ტრენინგ ცენტრში. ექსპერტებმა განუმარტეს, მოდულებით განსაზღვრულია, რომ ადგილზე უნდა ყოფილიყო აღჭურვილობა. ამის შემდგომ დაწესებულებამ დაიწყო შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოიხსენია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანების მე-8 დანართით განსაზღვრული სასწავლო გარემოს ზოგადი აღწერა: ,,სპეციფიკური სასწავლო გარემო საერთო შენობაში ან/და ცალკე მდგარი შენობა ან/და გარე სივრცე. მოთხოვნები დადგენილია ინდივიდუალურად.'' მისი განმარტებით გარკვეული ნაწილი გარე სივრცეში იქნა გადატანილი და პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდება სასწავლო პროცესი. მოდულის განხორციელების ადგილებად მითითებულია კოლეჯი, სასწავლო ცენტრი ან რესპუბლიკური კლინიკა.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ცალკე მდგომი შენობა, აგრეთვე სივრცე კოლეჯის შიგნით ან გარე სივრცე უნდა იყოს კოლეჯის საკუთრებაში ან მფლობელობაში. მოდულში მითითებულია აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც კოლეჯს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან მფლობელობაში.

მაია გუგეშაშვილის მტკიცებით 16 რიცხვისათვის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა სრულად იყო წარმოდგენილი მათი მხრიდან. აღნიშნული არ დაადასტურეს ექსპერტებმა და შენიშნეს, რომ მოდულებში მოცემული აღჭურვილობის ყველა სახეობა არ იყო წარმოდგენილი, არათუ მოცემული დასახელების საჭირო მითითებული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენლის მტკიცებით, რაოდენობრივად მოთხოვნილი მინიმუმით შესაძლოა არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულება, თუმცა მოდულებით განსაზღვრული აღჭურვილობის ყველა სახეობა დაწესებულებაში წარმოდგენილი იყო. წარმომადგენლის მტკიცებით, დაწესებულებამ საჭირო ინვენტარის შესყიდვა მოახერხა და საბჭოს წარუდგინა შესყიდვის დოკუმენტაცია. მამია ჯანჯალია დაინტერესდა როდის მოხდა შესყიდვა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შესყიდვა განხორციელდა მას შემდეგ, რაც ხარვეზები გახდა ცნობილი. მაგალითად, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მათ გამოიწერეს თოჯინა/მანეკენი.

მაია ჩიხლაძემ განმარტა, რომ საბჭო მხოლოდ იმ დოკუმენტაციას მიიღებს მხედველობაში, ამ შემთხვევაში იმ შესყიდვის დოკუმენტს, და/ან მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის მიხედვითაც შესყიდვის პროცესი დაწყებულია ვიზიტის დროს. რაც ამ შემთხვევაში არ დაფიქსირდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმათა, რომ არსებობს პრეცენდენტი, როცა საბჭომ განიხილა ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი შესწორებული დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭო ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანებით დამტიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის 11 და 11[1] პუნქტით და საბჭო უფლებამოსილია დაწესებულებისაგან მხედველობაში მიიღოს მხოლოდ იმ შესყიდვის დოკუმენტი, რომელის პროცესი დაწყებულია ვიზიტის დასრულებამდე.

ელგუჯა მელაძემ გამოთქვა თავისი პოზიცია, რომ დაწესებულება არ იყო მზად ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქვინს კომუნიტი კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 427729933) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა - პეტრე ბაბილუამ.

ექსპერტებმა შეამოწმეს ორი ინგლისურენოვანი, ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის და ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის, პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. დასკვნაში არ ფიქსირდება დაწესებულების ხარვეზები, თუმცა დაწესებულებას რამდენიმე რეკომენდაცია მიეცა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია მიიღო და შესაბამისად დაიწყო რეკომენდაციების გათვალისწინება.

- პროგრამების აღწერილობით ნაწილში პროგრამის სწავლების ენა ნათარგმნია როგორც Language of instruction: Georgian, English. ვინაიდან instruction ცალმხრივი პროცესია, რეკომენდირებულად მიიჩნეს ექსპერტებმა აღნიშნული ფორმულირება შეიცვალოს Language of the program ან Language of the study.
- ექსპერტებმა რეკომენდებულად მიიჩნიეს პროფესიულ პროგრამებზე მიღების წინაპირობაში ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის მითითება ან ინგლისური ენის კომპეტენციის განსაზღვრა/მისაღები გამოცდა, მითუმეტეს როცა დაწესებულებაში არსებობდა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აპლიკანტის ინგლისური ენის ცოდნის დასადგენი საგამოცდო ტესტის ტიპები.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, თუ იყო ისეთი შენიშვნა ან რეკომენდაცია, რაც ექსპერტთა ვიზიტის დროს არ გამოსწორდა. ექსპერტის მტკიცებით ყველა შენიშვნაზე ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო მუშაობა.

მაია ჩიხლაძემ შენიშნა, რომ მიუხედავად მათი მხრიდან მუშაობის დაწყებისა შენიშვნებთან დაკავშირებით, ექსპერტთა დასკვნაში რეკომენდაციები მრავლადაა წარმოდგენილი. თუმცა მითითებულია, რომ სტანდარტი დარღვეული არ არის. მონიტორინგის ვიზიტისას შესაძლებელია რომელიმე სტანდარტი ან ცალკეული ქვესტანდარტი იყოს დარღვეული. რეკომენდაციების გარკვეული ნაწილის გამოსწორება ვიზიტის პერიოდში ვერ მოხდებოდა მათი ხასიათიდან გამომდინარე. საბჭო უფლებამოსილია მისცეს მას გარკვეული ვადა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. აქვე აღნიშნა, რომ მონიტორინგი ერთგვარი დახმარებაა კოლეჯისათვის, მითუფრო, როცა კოლეჯს რაღაც პერიოდის შემდეგ ხელახალი ავტორიზაციის მიღება სურს.

მაია ჩიხლაძემ იკითხა პრაქტიკის სილაბუსებში შეფასების დიაპაზონის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ამ დიაპაზონით შეფასება.

ნატალია ბარათელმა განმარტა რომ უკვე შეიცვალა აღნიშნული დიაპაზონები, რაც თავის დროზე არასწორად იქნა შერჩეული. აქვე აღნიშნა, რომ მიესალმება კოლეჯებში მონიტორინგის განხორციელებას. განმარტა, რომ ის ადგილზე არ იმყოფებოდა ვიზიტის დროს და ამიტომ ვერ მოხდა ვიზიტის დროსვე ყველა რეკომენდაციის ასახვა დოკუმენტაციაში.

მაია ჩიხლაძემ იკითხა, კოლეჯის არსებული ფართი გამოიყენებოდა მხოლოდ პროფესიული სასწავლო მიზნებისათვის, თუ ამ ფართით სარგებლობდნენ ამავე შენობაში განთავსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებიც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზია საერთო სარგებლობის. ბიბლიოთეკის წიგნსაცავები კი ცალ-ცალკეა განთავსებული და კოლეჯს თავისი ბიბლიოთეკარი ჰყავს. აგრეთვე საერთოა სველი წერტილი უმაღლესი და პროფესიული დაწესებულებისათვის. აუდიტორიები გამიჯნულია შესაბამისი დაწესებულებისათვის. დაწესებულების სასწავლო ფართი წარმოადგენს 326 კვ.მ. -ს. დანარჩენი სივრცე კი უმაღლესის საკუთრებაშია.

თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, რამდენად საჭიროდ თვლიდა განმეორებით მონიტორინგის ვიზიტს დაწესებულებაში. ექსპერტის მოსაზრებით განმეორებითი ვიზიტის საჭიროება არ დგას, რადგან ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ არცერთი სტანდარტი არ არის დარღვეული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. ,,შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილების დანართში ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების კრედიტების რაოდენობის ცვლილების საკითხი

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს მოახსენა, რომ 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილებით შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭა ავტორიზაცია. გადაწყვეტილების დანართში ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების კრედიტების რაოდენობა არასწორადაა მითითებული, კერძოდ, 60 კრედიტი 90 კრედიტის ნაცვლად, რაც უნდა გასწორდეს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილების დანართში ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების კრედიტების რაოდენობის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ,,შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ფარმაცევტის თანაშემწე	V საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
2	ექთნის თანაშემწე	III საფეხური	ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
3	ექთნის თანაშემწე ინგლისურენოვანი	III საფეხური	ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
4	აუდიტორის ასისტენტი	III საფეხური	აუდიტორის ასისტენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

5	ინფორმაციული ტექნოლოგი	III საფეხური	ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
6	ინფორმაციული ტექნოლოგი ინგლისურენოვანი	III საფეხური	ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
7	კბილის ტექნიკოსი	III საფეხური	კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8	კბილის ტექნიკოსი	IV საფეხური	კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
9	კბილის ტექნიკოსი	V საფეხური	კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
10	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	III საფეხური	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
11	მასაჟისტი	III საფეხური	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
12	მშენებლობის მწარმოებელი	IV საფეხური	მშენებლობის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
13	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	IV საფეხური	მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
14	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III საფეხური	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
15	პრაქტიკოსი ექთანი	V საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
16	ბანკის ოპერატორი	V საფეხური	ბანკის ოპერატორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

17	ბუღალტერი	III საფეხური	ბუღალტერ-მოანგარიშის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
18	საბაჟო წარმომადგენელი	III საფეხური	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
19	სადაზღვევო აგენტი	III საფეხური	სადაზღვევო აგენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
20	სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი	III საფეხური	სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
21	კორესპოდენტი (მილევადი)	III საფეხური	კორესპონდენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
22	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი (მილევადი)	II საფეხური	საბაჟო დეკლარირების (სასაქონლო დეკლარირების) სპეციალისტის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
23	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი (მილევადი)	III საფეხური	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	V საფეხური	ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგის V საფეხურის	152	41

			პროფესიული კვალიფიკაცია		
2	ბიბლიოთეკარი	IV საფეხური	ბიბლიოთეკარის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	143	15

სხვა საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1	ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა	60

5. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ეკატერინე გიგაშვილმა და მაყვალა დარსანიამ.

ექსპერტების აზრით ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაციები, თუმცა აღნიშნეს რომ რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე ეს არ ახდენს გავლენას სტანდარტის დაკმაყოფილება არ დაკმაყოფილებაზე.

მაია ჩიხლაძემ შენიშნა, ექსპერტები წერენ რომ სტანდარტი არაა დარღვეული, თუმცა რეკომენდაციებში წერია, რომ რამდენიმე მოდული არაა ადაპტირებული სრულად და სასურველია მათი ადაპტირება, აგრეთვე საჭიროა საგნობრივ პროფესიულ პროგრამებში პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის10 დეკემბრის №121/ ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა რომ რეკომენდაციები ხარვეზების ხასიათის უფროა და შესაბამისად სტანდარტის დარღვევამდეც შეიძლება მიდიოდეს. საბჭო უფლებამოსილია დაწესებულებას მისცეს გარკვეული ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ მონიტორინგის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია დაწესებულებას განუსაზღვროს 5-60 დღე ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზის არსებობა ცალსახად არაა საფუძველი ავტორიზაციის ჩამორთმევისა, მთავარია არ იყოს დამდგარი სამართლებრივი შედეგი, რომელიც ვერ გამოსწორდება. თუმცა ავტორიზაციის საქმისწარმოების შემთხვევაში მსგავსი ხარვეზები ცალსახად ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების მიერ მიცემული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია და თან აქვს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბარაკონის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204877231) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალი ტალღის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ეკატერინე გიგაშვილმა და თამარ რემიშვილმა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალ ტალღას'' ავტორიზაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154. დაწესებულებას სურს სასწავლო პროცესის განხორციელება დამატებით ქ. ბათუმში (კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთა). აღნიშნულ მისამართზე განხორციელდა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის ვიზიტი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. უკვე ავტორიზებული საგნობრივი პროგრამების შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები აღნიშნულ მისამართზე არსებულ ფართში სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს. ერთადერთი რაც დაფიქსირდა იყო სრულად ადაპტირებული სველი წერტილის ვიწრო შესასვლელი კარი, რაც გამორიცხავდა გადაადგილების უნარ შეზღუდულ პირთა მიერ სველი წერტილით სარგებლობის შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღმოფხვრილია ეს ხარვეზი და კარის ზომა შესაბამისად გაზარდეს და თან აქვს შესაბამისი ფოტომასალა.

თავმჯდომარემ იკითხა, რა მისამართზე სურდა დაწესებულებას დამატებით პროგრამების განხორციელება. ექსპერტებმა უპასუხეს რომ პროგრამების განხორციელება დაწესებულებას სურდა ქ. ბათუმში. მის: კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალ ტალღასათვის " ქ. ბათუმში (კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა) მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალი ტალღის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ახალ ტალღას" მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროგრამები დამატებით ქ. ბათუმში (კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა).

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	მესამე	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ქ. ბათუმი, კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა
2	სტილისტი (ქალი/მამაკაცი)	მესამე	სტილისტ- პარიკმახერის /ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ქ. ბათუმი, კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა
3	კონდიტერი	მესამე	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ქ. ბათუმი, კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა
4	მზარეული	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ქ. ბათუმი, კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა
5	მზარეული	მესამე	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 154, ქ. ბათუმი, კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე